გულნარა კვანტიძე, მანანა ხიზანაშვილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი უცნობი საარქივო მასალა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (დინა კოჟევნიკოვა-გუგუშვილის არქივი) მონაცემთა ბაზა

ნაშრომი ფოკუსირდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაცულ საარქივო მასალაზე, რომელიც აქამდე უცნობ მკვლევარს, ევდოკია (დინა) კოჟევნიკოვას ეკუთვნის. მასალა მუზეუმში 1987 წლიდან ინახება ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციებში.

ევდოკია კოჟევნიკოვა (1905-1975 წწ) პეტერბურგის უნივერსიტეტის, ეთნოგრაფიის სპეციალობის ს.ტუდენტი იყო, იგი პედაგოგის, აკადემიკოს ნიკო მარის რჩევით პირველად 1927 წელს ესტუმრა სვანეთს საველე პრაქტიკით და მთელი შემდგომი ცხოვრება საქართველოს დაუკავშირა. ზემო სვანეთის სოფელ ნაკიფარში, ბესარიონ და კესა პირველების ოჯახში ცხოვრობდა. ცოლ-ქმარს შვილივით მიუღიათ და შეყვარებიათ ევდოკია, მისთვის სიყვარულით დინა, სვანურად გოგო შეურქმევიათ.

დინა კოჟევნიკოვას არქივში დაცული ხელნაწერები რუსულ, ნიკო მარისეულ ანალიტიკურ, ქართულ და სვანურ ენებზეა ჩაწერილი. ჩანახატები დინას მიერაა შესრულებული ფანქარში, მისივე გადაღებულია 200-მდე ფოტო ნიკო მარის მიერ ნაჩუქარი პორტატული ფოტოაპარატით. ინფორმაცია სანდო და უტყუარი წყაროა სვანეთისა და ზოგადად ქართული ეთნოკულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის, რადგან ავტორი მასალას სვანებთან თანაცხოვრების პერიოდში, მათ ყოფა-ცხოვრებაზე უშუალო დაკვირებით აგროვებდა. არქივში დაცულია ზემო სვანეთში 140-მდე საეკლესიო, სათემო და საოჯახო დღესასწაული, ფოლკლორული მონაცემები, ჩვეულებითი სამართლის საკითხები, სამეურნეო საქმიანობასა (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) და ნადირობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი და სხვა.

2019 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში. კონკურსზე წარდგენილი პროექტი - ***სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი უცნობი საარქივო მასალა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში*** დაფინანსდა.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა მასალის რესტავრაცია-კონსერვაცია; სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია; ციფრულ ფორმატში მიგრაცია-დიგიტალიზაცია; სვანურად ჩაწერილი ტექსტების ქართულად თარგმნა; ავტორის ბიოგრაფიული მონაცემების ახალი მასალით შევსება; პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები ინფორმაციული ველების სახით გაერთიანდა Excel file-ის ფორმატის მონაცემთა ბაზაში. ბაზა საჯარო მოხმარებისაა, იგი მიბმულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვებ. გვერდს. მიმდინარეობს მუშაობა პროგრამული მონაცემთა ბაზის შექმნასა და გასაჯაროობაზე. მონაცემთა ბაზაზე წვდომა უცნობ და მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდის მკვლევარებს და საინტერესო იქნება საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

Gulnara Kvantidze, Manana Khizanishvili, Georgian National Museum

Unknown Archival Material on Svaneti Ethnography in Georgian National Museum

(Archive of Dina-Kozhevnikova-Gugushvili - Database)

The presented work is focused on the archival material kept in the historical and ethnographic collections of of the Georgian National Museum Simon Janashia Museum of Georgia since 1987. It belongs to the previously unknown researcher Evdokia (Dina) Kozhevnikova.

Evdokia Kozhevnikova (1905-1975) was a student of St. Peterburg University, majoring at ethnography. She followed the recommendations of her teacher, Academician Niko Marr and for the first time visited Svaneti in 1927 for field practice and connected her entire life to Georgia . In Upper Svaneti village Nakipari, she was hosted by Besarion and Kesa Pirveli. The spouces received her warmly; she became so dear to them that they even gave her a nickname, Dina ("girl" in Svan).

The manuscripts preserved in Dina Kozhevnikova's archive are written in Russian, "analytical" language characteristic of Niko Marr, Georgian and Svan. The sketches are drawn in pencil by Dina herself, she also took about 200 photos with a portable camera gifted to her by her teacher, Niko Marr. The information protected in the archive of Dina Kozhevnikova is a reliable source for studying the Svan and Georgian ethnocultural heritage, because the author gathered the data as an actual participant

of the social and cultural activities, and made direct observations of the everyday life of the Svan people. The material contains priceless documental and visual data about nearly 140 religious, community, and family holidays of Upper Svaneti; folklore data, issues of customary law, agricultural and hunting-related customs and others.

In 2019, researchers from the Georgian National Museum applied for Shota Rustaveli National Science Foundation's Call for Fundamental Research State Grant. The submitted project "Unknown Archival Material on Svaneti Ethnography in the Georgian National Museum" won the grant of the foundation.

Within the framework of the project was conducted the systematization-classification, restoration and conservation of the original paper artifacts. Digitalization of archives, translation of Svan texts into Georgian, and collection of the biographical data on Kozhevnikova's life have also been finalized. One of the most important phases of the project - creating the open-access database, was also successfully completed and linked to the Georgian National Museum's website. The database will allow the scholars and the general public to access information about previously unknown material in Svanetian ethnic culture anytime and anywhere.